

## თვლის ქიმისა და რელიეფის თავის გვარდითი ზედაპირის ხახულის მოდიფიკატორების ესაკერისენტული პრეცესი

გ.0. თუმანიშვილი, გ.თელოშვილი, ვ.ზეიალაური, გ.გ. თუმანიშვილი

თვლებისა და რელიების გორგის ზედაპირებსა და თვლის ქიმისა და რელიეფის თავის გვარდით ზედაპირის განსხვავებული თვისებები მოეთხოვებათ - გორგის ზედაპირებისათვის შედარებით მაღალი ხახულის კოეფიციენტი და თვლის ქიმისა და რელიეფის თავის გვარდითი ზედაპირებისათვის შედარებით დაბალი და მათ ესაჭიროებათ შესაბამისი ხახულის მოდიფიკატორები. თვლებისა და რელიების ცვეთის ინტენსივობის, ხახულზე ენერგიის დანაკარგების, ხახულის მოდიფიკატორით, ვიბრაციებითა და ხმაურით გარემოს დაბინძურების შემცირება ხახულის მოდიფიკატორების ძირითად ფუნქციებად განიხილება. წარმოდგენილ ნაშრომში გამოცდილია ეკოლოგიურად სუფთა ხახულის მოდიფიკატორები გორგისა და ქიმისა და რელიეფის თავის გვარდითი ზედაპირებისათვის ხახულის გორგოლაჭოვან სტენდზე. ექსპერიმენტულად დადგენილია ხახულის კოეფიციენტის ცვალებადობის დიაპაზონები, შესაბამისად, ანტიფრიქციული მოდიფიკატორისათვის  $0.06\text{--}0.11$ , ხოლო ფრიქციული მოდიფიკატორისათვის  $0.12\text{--}0.4$ ; ერთხელ წასმული ხახულის მოდიფიკატორის მუშაობის ხანგრძლივობა იყო  $3000\text{--}12000$  ბრუნი მოხახულე ზედაპირებიდან მოცილებამდე.

**საკვანძო სიტყვები:** ხახულის კოეფიციენტი, მესამე სხეული, ჩაჭდება, ცვეთა, დაღლილობა, პიტინგი.


### 1. შესავალი

თვლები და რელიები ხასიათდებიან მოხახულე ზედაპირების მოდიფიცირების არახელსაყრელი პირობებითა და გარემოს უშუალო გავლენით. ეს აუარესებს თვლებისა და რელიების მუშაობის პირობებს, რაც უარყოფით გავლენას ახდენს მოძრაობის უსაფრთხოებაზე და საექსპლუატაციო ხარჯებზე. გარდა ამისა, თვლებისა და რელიების შემზეთი მასალები და ხახულის მოდიფიკატორები, ხმაური და ვიბრაციები გარემოს აბინძურებენ. ხახულის, დაღლილობისა და პლასტიკური დეფორმაციის გამო დაზიანებების დაგროვება მნიშვნელოვნად ამცირებს თვლებისა და რელიების მუშაობის რესურსს. ამიტომ თვლებისა და რელიების მუშაობის რესურსისა და მოძრაობის უსაფრთხოებისადმი მრავალი ნაშრომია მიძღვნილი [1-5] და აღიარებულია, რომ ამ პრობლემების გადაჭრაში ხახულის მოდიფიკატორებისა და თვლებისა და რელიების მოხახულე პროფილების გაუმჯობესებას დიდ მნიშვნელობა აქვს.

თვლებისა და რელიების კონტაქტის ზონაში მესამე სხეულის მდგრადობა ფარდობითი სრიალისა და ძალური და თბური დატვირთვის მიმართ მათი განსაკუთრებული თვისებებით უზრუნველყოფას საჭიროებს. ხახულის მოდიფიკატორები განკუთვნილია ხახულზე ენერგიის დანაკარგების, ხმაურით, ვიბრაციებითა და არაეკლოგიური მასალებით გარემოს დაბინძურების, თვლებისა და რელიების დაზიანების ინტენსივობისა და თვლის რელიზე აგორებისა და იქიდან გადმოსვლის ალბათობის შემცირებისათვის.

## 2. ხახუნის მოდიფიკატორების ექსპერიმენტული კვლევა

ჩვენ მიერ დამუშავებული ახალი ხახუნის მოდიფიკატორები შეიცავს ექოლოგიურად უგნებელ და შედარებით იაფ მასალებს. დამუშავებული ხახუნის მოდიფიკატორების საექსპლუატაციო თვისებების პირველადი შეფასებისათვის მათი გამოცდა შესრულდა ლაბორატორიულ პირობებში და მათი შემდგომი სრულყოფა გრძელდება. ექსპერიმენტული კვლევები შესრულდა გორგოლაჭოვან ხახუნის მანქანაზე (მოდ. MT1, ნახ. 1) გორგოლაჭების ერთმანეთზე გორგის პირობებში 20% სრიალის თანხლებით. ექსპერიმენტული ნიმუშები წარმოადგენს 40 მმ დიამეტრისა და 10 და 12 მმ სიგანის ფოლადის გორგოლაჭებს. სხვადასხვა შემადგენლობის ხახუნის მოდიფიკატორების თვისებების შედარებისათვის გამოიცადა აგრეთვე თვლებისა და რელსებისათვის განკუთვნილი უკრაინული წარმოების შემზეთი მასალა AZMOL და კონსისტენტური შემზეთი მასალა CIATIM-1. კვლევებმა გვიჩვენა თვლებისა და რელსებისათვის CIATIM-1-ის არადამაკაყოფილებელი თვისებები.




ნახ. 1. გორგოლაჭოვანი ხახუნის მანქანა და საზომი ხელსაწყოები:

- 1 - გორგოლაჭოვანი ხახუნის მანქანა; 2 - ტრიბოელემენტები; 3 - ცვეთის პროდუქტი;
- 4 - გამზომი ხელსაწყო; 5 - პერსონალური კომპიუტერი; 6 - ვიბრომეტრი

ხახუნის მოდიფიკატორი ზედაპირებს თანაბრად ესმებოდა და ცდები მიმდინარეობდა ზედაპირებიდან მათ ნაწილობრივ მოცილებამდე და ჩაჭდევის დაწყებამდე. ეს დგინდებოდა ხახუნის მომენტის, ვიბრაციების, ხმაურისა და ჩაჭდევის პროცესის სხვა ნიშნების დაწყებით. ცდები ტარდებოდა მოხახუნე ზედაპირების  $22\text{--}24^{\circ}\text{C}$  საწყისი ტემპერატურებისათვის. მესამე სხეული რღვევისას და ჩაჭდევის დაწყებისას გორგოლაჭების ურთიერთქმედების პირობები მკვეთრად იცვლებოდა: იწყებოდა ვიბრაციები და ხმაური 80-90 დბ-დან 92-105 დბ-ს აღწევდა, ხოლო ტემპერატურა კონტაქტის ზონის უშუალო სიახლოეს იზრდებოდა  $70\text{--}105^{\circ}\text{C}$ -მდე. თვლის ქიმისა და რელსის თავის გვერდითი ზედაპირების ხახუნის მოდიფიკატორისათვის ცდებმა გვიჩვენა რღვევის სამი სტადია: პირველ სტადიაში მოხახუნის მოდიფიკატორი (მოხახუნე ზედაპირები) მუქდებოდა (ნახ. 2,a) და ხახუნის კოეფიციენტის მცირე მატება შეინიშნებოდა. მეორე სტადიაში ზედაპირები ნელ-ნელა ფერმკრთალდებოდა (ნახ. 2,a) ხოლო ხახუნის მომენტი მცირე მატების შემდეგ ხელახლა მცირდებოდა და სტაბილიზირდებოდა. მესამე სტადიასთან მიახლოებისას ხახუნის მომენტის მცირე იმპულსები შეინიშნებოდა, რაც ჩაჭდევის პროცესის დაწყებას უჩვენებდა (ნახ. 2,c) და შემდეგ ხახუნის მომენტი და მისი

ცვლადი მდგენელი მკვეთრად იზრდებოდა. სახუნის მომენტის არასტაბილურობა შემდგომი გაფერმკრთალდება, ზედაპირებიდან შეუქცევადი მოცილება (ნახ. 2 b, c,) და ჩაჭდევის დაწყება.




ნახ. 2. მოხახუნე ზედაპირები საწყისი საზოვანი და წერტილოვანი კონტაქტით (a) (გამუქებული ზედაპირები), ზედაპირები ნაწილობრივად მოცილებული სახუნის მოდიფიკატორით (b) და ჩაჭდევის ნიშნებით (c) და გორგოლაჭები ზედაპირების წერტილოვანი კონტაქტით

სახუნის მოდიფიკატორის მესამე სტადიასთან მიახლოებისას სახუნის მომენტის ცალკეული იმპულსები შეინიშნებოდა, რომლებიც ჩაჭდევის დაწყების პირველ ნიშნებს გვიჩვენებდა, ხოლო შემდეგ სახუნის მომენტი მკვეთრად იზრდებოდა. მესამე სტადიაში სახუნის მომენტი არასტაბილური ხდებოდა და პროცესი ვიბრაციებისა და ხმაურის თანხლებით მიმდინარეობდა, სახუნის მოდიფიკატორის ინტენსიური მოცილება და ჩაჭდევის პროცესის სწრაფი პროგრესირება შეინიშნებოდა.

### 3. სახუნის კოეფიციენტისა და ჩაჭდევის დაწყებამდე ბრუნთა რიცხვების დამოკიდებულება კონტაქტურ ძაბვაზე

აღსანიშნავია, რომ მყარი სხეულების ზედაპირული და ზედაპირის ქვეშა ფენები მათ ყველაზე სუსტ ადგილებს წარმოადგენენ, საიდანაც მათი რღვევა იწყება [6]. როდესაც მოხახუნე სხეულები განცალკევებულია მასამე სხეულით, მაქსიმალურმა ციკლურმა დატვირთვამ შესაძლებელია გამოიწვიოს აგრეთვე პროფილების პლასტიკური დეფორმაცია. გორგა/სრიალით მომუშავე ზედაპირების მძიმე დატვირთვებისათვის ჩაჭდევის პირობაა მესამე სხეულის რღვევა და მოხახუნე ზედაპირების უშუალო კონტაქტი.


როგორც ნახ. 3-დან ჩანს, საწყისი საზოვანი კონტაქტისათვის, როდესაც კონტაქტური ძაბვა იცვლება 0,65-0,77 გპა ზღვრებში, კონტაქტური ძაბვის გაზრდა იწვევს სახუნის კოეფიციენტისა (რაც დამახასიათებელია მყარი შემზეთი მასალებისათვის) და ჩაჭდევამდე ბრუნთა რიცხვის შემცირებას. სახუნის კოეფიციენტისა და ჩაჭდევამდე ბრუნთა რიცხვის დამოკიდებულება კონტაქტურ ძაბვაზე საწყისი საზოვანი კონტაქტისათვის ნაჩვენებია ნახ. 3-ზე.



ნახ. 3. ხახუნის კოეფიციენტისა და ჩაჭდევამდე ბრუნთა რიცხვების დამოკიდებულება კონტაქტურ ძაბვაზე საწყისი ხაზოვანი კონტაქტისათვის:

1 – AZMOL; 2 – 5 – სხვადასხვა შემაღებელობის დამუშავებული ხახუნის მოდიფიკატორები  
4 - ზე.


ხახუნის კოეფიციენტისა (a) და ხახუნის მოდიფიკატორის რდგევამდე და ჩაჭდევის პირველი ნიშნების გაჩენის დაწყებამდე (b) დამოკიდებულების გრაფიკები კონტაქტური ძაბვებისაგან საწყისი წერტილოვანი კონტაქტისათვის ნაჩვენებია ნახ. 4 - ზე.



ნახ. 4. ხახუნის კოეფიციენტისა (a) და ხახუნის მოდიფიკატორის რდგევამდე და ჩაჭდევის პირველი ნიშნების გაჩენის დაწყებამდე (b) დამოკიდებულების გრაფიკები კონტაქტური ძაბვებისაგან საწყისი წერტილოვანი კონტაქტისათვის:

1, 2, 3 - სხვადასხვა შემაღებელობის ხახუნის მოდიფიკატორები

ცდებმა გვიჩვენა ”პოზიტიური ხახუნის” მქონე ხახუნის მოდიფიკატორების მაღალი ადჰეზიური თვისებები. დატვირთვის გაზრდისას მყარი ნაწილაკები ეკრობა მოხახუნე ზედაპირებზე, რჩება, განსაკუთრებით მიკროუსტორმასტორობებს შორის ღრმულებში, რაც უზრუნველყოფს ძაბვების უფრო თანაბარ განაწილებას. ხახუნის კოეფიციენტის განბნევის ველის დამოკიდებულება კონტაქტურ ძაბვაზე თვლისა და რელსის გორგის ზედაპირებისათვის დამუშავებულ ხახუნის მოდიფიკატორებისათვის ნაჩვენებია ნახ. 5-ზე.



ნახ. 5. ხახუნის კოეფიციენტის (a) და ხახუნის მოდიფიკატორის ზედაპირებიდან შეუქცევადი მოცილების განპირევის ველის (b) დამოკიდებულება კონტაქტურ ძაბვაზე თვლისა და რელსის გორგის ზედაპირებისათვის დამუშავებულ ხახუნის მოდიფიკატორებისათვის

გორგოლაჭებიან ხახუნის მანქანაზე შესრულებულმა ცდებმა გვიჩვენა, რომ მიმართველი ზედაპირებისათვის განკუთვნილი ხახუნის მოდიფიკატორებისათვის ხახუნის კოეფიციენტი იცვლებოდა ზღვრებში 0,06 – 0,11, ხოლო გორგის ზედაპირებისათვის განკუთვნილი ხახუნის მოდიფიკატორებისათვის - 0,12 – 0,4. ადსანიშნავია, რომ გორგის ზედაპირებისათვის განკუთვნილ ხახუნის მოდიფიკატორებისათვის ხახუნის კოეფიციენტი ცდის დაწყებიდან სწრაფად იწყებოდა და შემდეგ სტაბილიზირდებოდა.

### დასკვნები

- გორგის ზედაპირებისათვის და თვლის ქიმისა და რელსის თავის გვერდითი ზედაპირებისათვის დამუშავდა და გამოიცადა ეკოლოგიურად უვნებელი ხახუნის მოდიფიკატორები;
- გამოვლინდა ხახუნის კოეფიციენტისა და ხახუნის მოდიფიკატორების მდგრადობის დამოკიდებულება კონტაქტური ძაბვისაგან;
- მესამე სხეულის ოლვევისა და ჩაჭდევისას კონტაქტის ზონა წარმოადგენს გიბრაციებისა და ხმაურის წყაროს;
- ექსპერიმენტულად დადგინდა ხახუნის კოეფიციენტების ცვალებადობის დიაპაზონები ფრიქციული და ანტიფრიქციული ხახუნის მოდიფიკატორებისათვის შესაბამისად 0,06-0,11 და 0,12-0,4;
- ერთხელ წასმული ხახუნის მოდიფიკატორის მუშაობის რესურსი შეადგენდა 3000-12000 პრუნს მოხახუნე ზედაპირებიდან მათ მოცილებამდე.

## ლ ტ ტ რ ა ტ უ ბ ა

1. Iwnicki S.D. (ed). A Handbook of railway vehicle dynamics. CRC Press, London, (ISBN:0849333210). 2006.
2. Lewis R. and Dwyer-Joyce R.S. Wear mechanisms and transitions in railway wheel steels. Proceedings of the Institution of Mechanical Engineers, Part J: Journal of Engineering Tribology. 218(6). 467-478. 2004.
3. J. Kalousek Lubrication: Its various Types and Effects on Rail/Wheel Forces and wear, Rail and wheel Lub Symp. Sept 1981.
4. Enblom R. Simulation of Wheel and Rail Profile Evolution Wear Modeling and Validation. Licentiate Thesis, TRITA AVE, ISSN 1651-7660, ISBN 91-7283-806-X. 2004.
5. Dwyer-Joyce R.S., Lewis R., Gao N. and Grieve D.G. Wear and fatigue of railway track caused by contamination, sanding and surface damage. 6<sup>th</sup> International Conference on Contact Mechanics and Wear of Rail/Wheel Systems (CM2003) in Gothenburg. Sweden June 10–13. 2003.
6. Regel V.R., Slucker A. B., Tomashevski E. E. The kinetic theory of durability of solid bodies (in Russian). Moscow. 1974. p. 560.

გიორგი თუმანიშვილი, ტექნ. მეცნ. ქანდიდატი,  
საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

Email:ge.tumanishvili@gmail.com